დანართი:

ინფორმაცია, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 30 მაისის N 21/2092 წერილში, შპს „სტანდარტ ცემენტი"-ს ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გზშ-ის ანგარიშში დასაზუსტებელ საკითხებთან დაკავშირებით

| N | პირობები | შესრულებულია |
|---|---|---|
| 1 | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს №60 (01.12.2021) სკოპინგის დასკვნის თანახმად, ტერიტორიის ელექტრონული გადამოწმებით დადგინდა, რომ საპროექტო ობიექტის სიახლოვეს არსებულ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებზე განთავსებულია შემდეგი კომპანიები: შპს „სანდო" (ს/კ: 02.05.03.363); შპს „ქართული პროდუქცია" (ს/კ: 02.05.03.015); შპს „ვერძი" (ს/კ: 02.05.03.080); შპს „ფერო ელოის ფროდაქშენი" (ს/კ:02.05.03.372); შპს „ევროსტანდარტი" (ს/კ: 02.05.03.673); შპს „ანტონი" (ს/კ: 02.05.06.558); შპს „გილდია" (ს/კ:02.05.06.217); შპს „პროგრესი" (ს/კ:02.05.03.001); შპს „გრანდი" (ს/კ: 02.05.03.747, 02.05.03.746), რომელთა ფუნქციური დატვირთვის შესახებ ინფორმაცია გზშ-ის ეტაპზე საჭიროებდა დაზუსტებას. წარმოდგენილ დოკუმენტში მოთხოვნილი ინფორმაცია მოცემული არ არის. | შენიშვნაში მოცემული 16 საწარმოდან (რომელთა საქმიანობების შესახებ ინფორმაცია იხილეთ ცხრილში 4.1.2.) ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიის წყაროები გააჩნია 4 საწარმოს, რაც დადასტურებულია სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო"-ს 01/08/2022 N 21/3989 წერილით.<br><br>წერილში აღნიშნული ყველა საწარმოს ემისიები გათვალისწინებულია შპს „სტანდარტ ცემენტი"-ს ექსპლუატაციის პროცესში ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედების შეფასების პროცესში. |
| 2 | სამინისტროს №60 (01.12.2021) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებდა ცემენტის წარმოების მეორე ტექნოლოგიური ხაზის და შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების (22/02/2018; N 2-96) შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე, დაზუსტებას საჭიროებდა რის საფუძველზე უწევს ექსპლუატაციას შპს „სტანდარტ ცემენტი" საწარმოო ტერიტორიაზე არსებულ, ცემენტის წარმოების მეორე ტექნოლოგიურ ხაზს და რატომ განიხილავს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტის ფარგლებში. ზემოაღნიშნული სკოპინგის დასკვნით, **კომპანიას დაევალა ორივე ტექნოლოგიური ხაზის ექსპლუატაციის შემთხვევაში, გზშ-ის ანგარიშის წარმოდგენამდე უზრუნველეყო „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-15 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვა.** | გადაცემულია სსიპ საქართველოს ეროვნული სააგენტოს 14/09/2022 N-8782/01 წერილის საფუძველზე. იხილეთ დანართი 13.13. |
| 3 | №60 (01.12.2021) სკოპინგის დასკვნის თანახმად, გზშ-ის ანგარიშში სრულად უნდა ყოფილიყო ასახული ობიექტზე გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული გეგმიური/არაგეგმიური შემოწმებების, გამოვლენილი დარღვევების (არსებობის შემთხვევაში), მათი აღმოფხვრისთვის განსაზღვრული ქმედებების/გონივრული ვადების და განსაზღვრულ ვადებში შესასრულებელი (შესრულებული) გარემოსდაცვითი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია; აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში ასახული არ არის. | ინფორმაცია მოცემულია დანართში 11 და 12. |

| | | |
|---|---|---|
| 4 | გზშ-ის ანგარიშში, 4.2.1 ქვეთავში მითითებულია, რომ არსებულ საწარმოში განთავსებულია 13 ერთეული სილოსი, მათ შორის 12 სილოსი არის 60 მ 3 , ხოლო ერთი – 15 მ 3 მოცულობის. თუმცა, დოკუმენტის 4.2.2 ქვეთავის თანახმად, სილოსების რაოდენობა შეადგენს 14 ერთეულს, თითოეული არის 65 და 60 ტ, ხოლო ერთი - 20 ტ მოცულობის, ჯამურად 885 ტ მოცულობით. აღნიშნული ჩანაწერები წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან, შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს არსებულ საწარმოში არსებული სილოსების რაოდენობა და მოცულობა. | აღნიშნული საკითხი კორექტირებულია და ინფორმაცია მოცემულია 4 პარაგრაფის შესაბამის ქვეთავებში. |